ხელისუფლებისა და ბიზნესინტერესებს შეწირული რექტორი – ლადო პაპავა დუმილს არღვევს | ყველაფერი განათლებისთვის და განათლებიდან

edu.aris.ge /news/xelisuflebisa-da-biznesinteresebs-shewiruli-reqtori-dado-papava-dumils-argvevs.html

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა დუმილს არღვევს და **EDU.ARIS.GE**-სთან რექტორის თანამდებობიდან გადადგომის რეალურ მიზეზებზე, ზუსტად ერთი წლის თავზე საუბრობს. ექსკლუზიურ ინტერვიუში იგი დაწვრილებით იხსენებს იმ მოვლენებს, რაც მის გადადგომას უძღოდა წინ.

პაპავა ყვება იმასაც, რაც 2016 წლის ხმაურიან გაზაფხულზე, სტუდენტთა ფართო გამოსვლების უკან იმალდებოდა. მისი თქმით, უნივერსიტეტის ინტერესების დაცვის საბაბით, სტუდენტებს ამოფარებულმა უშიშროებამ მას წაუგებელი ბრძოლა გამოუცხადა.

–თქვენი გადადგომიდან ერთი წელი გავიდა. როგორ შეაფასებდით თსუ-ში არსებულ სიტუაციას?

-აკადემიკოსი ლადო პაპავა: სიტუაცია, რა თქმა უნდა, შეიცვალა. გარკვეული მიმართულებით სახეზეა გაუმჯობესება, გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში კი კითხვები არსებობს.

–რა გაუმჯობესდა?

-ლ.პ: პირველ რიგში ის, რომ ამ ეტაპზე სტუდენტურ თვითმმართველობასთან ურთიერთობა დარეგულირდა. ეს, ნამდვილად უნივერსიტეტის ახალი ხელმძღვანელობის აქტივში ჩაითვლება. თუმცა, ამის წინაპირობა ალბათ მაინც ის იყო, როცა 2016 წლის თებერვალ-მარტში სტუდენტთა ჯგუფმა, რომელიც შემდგომ „აუდიტორია 115“-ის სახით ჩამოყალიბდა, გამოსვლები დაიწყო. ამან პრაქტიკულად სტუდენტური თვითმმართველობის გავლით პროექტების დაფინანსების წესი შეცვალა. ამჟამად ამ საკითხს უკვე კომისია წყვეტს და ამას სტუდენტური თვითმმართველობა აღარ ეწინააღმდეგება.

მანამდე სტუდენტური თვითმმართველობა კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა იმას, რომ ყველა სტუდენტური პროექტი ერთობლივად განხილულიყო. ამ გამოსვლებმა მოიტანა ის, რომ უნივერსიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ სისტემა შეცვალა და დღეს უკვე ყველა პროექტი ერთობლივად განიხილება, მიუხედავად იმისა, იგი სტუდენტთა თვითთმართველობის შუამდგომლობითაა წარმოდგენილი თუ მის გარეშე. ეს, რა თქმა უნდა, პოზიტიურია.

–თვითთმართველობასთან დაკავშირებით უნივერსიტეტში სტუდენტების მხრიდან მუდმივად ისმის შენიშვნები და პრეტენზიები. რას აკეთებდით ამ პრობლემის მოსაგვარებლად რექტორობის პერიოდში?

-ლ.პ: მე ასეთი პრინციპი მქონდა – მაქსიმალური ურთიერთობა და კომუნიკაცია როგორც თვითმმართველობასთან, ასევე სტუდენტთა იმ ჯგუფებთან, რომლებიც მას უპირისპირდებოდნენ. ჩემი მუშაობის საკმაოდ დიდი დრო ამ კომუნიკაციას ეთმობოდა. თუმცა, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან 2016 წლის მარტში განვითარებულ მოვლენებში და იმაში, რაც ამ მოვლენებს წინ უძღოდა უდიდეს როლს არა უშუალოდ სტუდენტები, არამედ გარკვეული ძალები თამაშობდნენ, რომლებიც უნივერსიტეტიდან ჩემ ჩამოშორებას ცდილობდნენ და ამისათვის, სამწუხაროდ, სტუდენტობასაც იყენებდნენ.

ამ ყველაფერს სტუდენტებს ნამდვილად არ ვაბრალებ. მათში ძალიან ბევრი ალალი, ღირსეული და წარმატებული ადამიანია. მე ყოველთვის ახალგაზრდობის მხარეს ვიყავი და ვიქნები კიდეც, სანამ ცოცხალი ვარ. თუმცა, ფაქტია, რომ იყვნენ გარკვეული ძალები, უშუალოდ უშიშროების სამსახურის მიერ

მართულნი, რომლებიც სტუდენტებს, როგორც თვითმმართველობის, ისე მასთან დაპირისპირებულ ჯგუფის ზოგიერთ წევრს, იყენებდა.

–რატომ ცდილობდა უშიშროება თქვენს ჩამოშორებას?

-ლ.პ ეს ალბათ მმართველი პოლიტიკური ელიტის ზოგიერთი წევრის დამოკიდებულება იყო. ნამდვილად არ ვიცი -რატომ. თუ ჩავთვლით, რომ „ქართული ოცნება“ „ნაციონალურ მოძრაობას“ ებრძოდა, მე „ნაცმოძრაობის“ მხარეს ნამდვილად არც რექტორობამდე ვყოფილვარ, არც რექტორობისას და არც მას შემდეგ. ის 9-წლიანი მახინჯი მმართველობა ჩემთვის ყოველთვის მიუღებელი იყო და ამ დამოკიდებულებას არასოდეს ვმალავდი.

როდესაც გადავწყვიტე რექტორის არჩევის კონკურსში მონაწილეობა მიმეღო, „ქართული ოცნების“ ზოგიერთი აქტიური წარმომადგენელი ამ პროცესში პირდაპირ დამიპირისპირდა. ეს ჩემთვის გაუგებარი იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, იგი „ქართული ოცნების“ პოზიციასთან არ გამიიგივებია. 2016 წლის მარტში რომ გამწვავდა სიტუაცია, ეს ადამიანები უკვე პრესით ღიადაც გამოდიოდნენ და მოითხოვდნენ რომ თანამდებობიდან გადავმდგარიყავი. „ქართულ ოცნებასთან“ თითქოს მეგობრული ურთიერთობა მქონდა, მაგრამ ჩემ წინააღმდეგ რატომღაც სახელმწიფო მანქანა აამუშავეს…

–რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი?

-ლ.პ: სავარაუდოდ, ბევრი. ვიღაცებს შევუშალე ხელი, რომ უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან გაზგასამართი სადგური გაკეთებულიყო. ალბათ გახსოვთ, საპროტესტო აქციებიც გაიმართა, რომელშიც სტუდენტებიც ჩაერთვნენ. ამით თავისი უკმაყოფილება, ჩემთან საუბარში, მაშიდნელმა განათლების მინისტრმაც (თამარ სანიკიძე) გამოხატა.

ამ ყველაფერს კიდევ ერთი მომენტი დაერთო – დიდი საგანძურის ჩამოტანა (ლევილის მამულთან დაკავშირებული საკითხი). საუბარია საგანძურზე, რომელიც უნივერსიტეტს საჩუქრად ტიერი ბერიშვილმა გადასცა. ტიერი ბერიშვილი არის წარმომადგენელი იმ დიდი სახელოვანი ქართველი მოღვაწეებისა – პირველი ქართული მთავრობის, რომელთაც საფრანგეთში მოუხდათ წასვლა. მას პირველი რესპუბლიკის და სოციალ-დემოკრატიული პარტიის საარქივო მასალები ჰქონდა და გადაწყვიტა იგი თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტისათვის საჩუქრად გადმოეცა. ჩემთვის ეს დიდი პატივი იყო, მაგრამ ამას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო შეეწინააღმდეგა, რომელმაც ოფიციალური წერილი მომწერა – ეს საგანძური უნივერსიტეტში კი არა სახელწმიფო არქივში უნდა იყოსო.

ამას პარიზში საქართველოს საელჩოს გაუგებარი წერილიც დაერთო. მათი აზრით, ეს საჩუქარი თბილისში საერთოდ არ უნდა წამოსულიყო და ლევილის მამულში დარჩენილიყო. ამის შემდეგ, მაშინდელი მთავრობის ერთ-ერთმა, მეგობრულად განწყობილმა წევრმა პირდაპირაც მითხრა – თუ თქვენ ამ საგანძურის ჩამოტანას სამთავრობო ხაზით აპირებთ, უნივერსიტეტი მას ვერ მიიღებს, ამიტომ, სხვა გზები მოძებნეთო.

თავად ბატონი ბერიშვილის პოზიცია კი ძალიან მკაფიო იყო. მან თქვა – ეს ჩემი კერძო საკუთრებაა და ვისაც მინდა მას ვჩუქნიო. მას უნივერსიტეტისათვის ჩუქება უნდოდა. საბოლოო ჯაში, ჩვენ 150 კილიოანი საარქივო მასალისა და წიგნების შემოვლითი გზით ჩამოტანა დაგვჭირდა. ამ მასალების საფუძველზე უნივერსიტეტში პირველი რესპუბლიკის ბიბლიოთეკა და კვლევითი ცენტრი დავაარსეთ. ახლა ეს მასალა უნივერსიტეტში ინახება. მთავრობას კი, სამწუხაროდ, ეს არ უნდოდა. ასე რომ, ერთ-ერთი პრობლემა ესეც იყო – მთავრობას არ დავუთმეთ ის, რაც უნდოდა.

კულმინაცია კი, სავარაუდოდ, გაზპრომთან დაკავშირებული ჩემი განცხადებები გახდა. რექტორობის დროს ყოველთვის ვიკავებდი თავს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების საჯარო შეფასებისაგან, მაგრამ როდესაც გაზპრომთან ხელშეკრულების შეცვლის საკითხი დადგა და საუბარი ნატურალური ანაზღაურებიდან ფულად ანაზღაურებაზე გადასვლაზე დაიწყო, 2016 წლის იანვარში ჩემი საპირისპირო პოზიცია ღიად დავაფიქსირე. ეს ალბათ ყველაზე მწვავე იყო და ”ბოლო ლურსმნის ჩაჭედების” როლიც შეასრულა.

ყოველ შემთხვევაში, გულწრფელად შემიძლია გითხრათ, რომ 25 მარტს სიონის ეკლესიაში პრემიერ-მინისტრმა გორგი კვირიკაშვილმა პირდაპირ მითხრა – მე თქვენ მხარს არ გიჭერთო. ეს მითხრა როგორც რექტორს – მე მხარს ვუჭერ უნივერსიტეტს და არ გიჭერთ თქვენო. ეს პარასკევს მოხდა, ორ დღეში კი - ორშაბათს, თვითმმართველობამ ჩემი გადადგომის მოთხოვნით შიმშილობის დაწყება გამოაცხადა. სამშაბათს „აუდიტორია 115“-ის წევრებმა გამოაქვეყნეს განაცხადება – პაპავას მოვუწოდებთ გარკვეული რაღაცები გააკეთოს და ორ თვეში გადადგესო. ანუ, ორივე ძალამ ერთი და იგივე მოთხოვნა დააყენა და ჩემთვის აბსოლუტურად აშკარა იყო, რომ უშიშროებით მართულ პროცესს, რომელიც პოლიტიკურად პრემიერმა კვირიკაშვილმა გამოხატა, წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა. გათვლა იმაზე იყო გაკეთებული, რომ ამ დაძაბულობით პაპავას რამე მოუვიდოდა, მისი ჯანმრთელობა ვერ გაუძლებდა, ან გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებდა და გადადგებოდა. მათ თავიანთ მიზანს მიაღწიეს.

ვიცი, რომ ენატანია ადამიანები, რომელთაც ჩემი რექტორობა სხვადასხვა მიზეზთა გამო არ მოსწონდათ, „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობაში ჭორებს ავრცელებდნენ, თითქოს მე მმართველი პარტიის წინააღმდეგი ვიყავი და მის ლიდერებს აუგად მოვიხსენიებდი. ამის შესახებ ინფორმაცია მომდიოდა, მაგრამ მივიჩნევდი, რომ ეს ჩვეულებრივი ჭორაობა იყო და ქვეყნის მმართველი პირები უფრო მაღლა დადგებოდა. ნამდვილად არ მეგონა, თუ მათში მოიძებნებოდნენ ძალები, რომლებიც ასეთ აგრესიულ დაპირისპირებას და ამ ბრძოლაში უკიდურეს ფორმად ახალგაზრდების გამოყენებას გადაწყვეტდნენ.

თანაც, ეს ძირითადად არაა ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებსაც დავალებებს აძლევენ. ისინი სიტუაციას ქმნიდნენ – თუ ერთ მხარეს წახვალ „აუდიტორია 115“ გაღიზიანდება, თუ მეორე მხარეს – სტუდენტური თვითმმართველობა. სხვა გზა კი უბრალოდ არ არსებობდა. ასეთ გამოუვალ სიტუაციებს ქმნიდა უშიშროების სამსახური. რა თქმა უნდა, ამაზე დავალებები ზემოდან იყო მიღებული და ამაში 25 მარტს დავრწმუნდი, როცა პრემიერმა უშუალოდ მითხრა ზემოხსენებული სიტყვები. გადადგომის შესახებ განცხადება კი 30 მარტს გავაკეთე.

–ანუ, თვენი გადადგომის მთავარი მიზეზი ეს ყველაფერი იყო…

–ლ.პ: ჩემი გადადგომის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ შეუძლებელია იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი და ამ დროს ქვეყნის პირველი პირი მხარს კი არ გიჭერდეს, არამედ აგრესიულად გეწინააღმდეგებოდეს კიდეც. მეტიც – უშიშროების სამსახურს შენ წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდნენ. ამ დროს თანამდებობაზე ჯიუტად ყოფნას აზრი აღარ აქვს. უნივერსიტეტს მეტი ზიანი მიადგებოდა…

შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა – მე რექტორი უკვე აღარ ვარ, შემოდგომაზე „აუდიტორია 115“ მეექვსე კორპუსს იკავებს, ეს დაკავება 3 თვე გრძელდება, მაგრამ ნახეთ ამან რა მშვიდად ჩაიარა? აღარავის აწუხებდა. აღარც აჟიოტაჟი იყო. ჩემი რექტორობის დროს, როგორც კი რაღაც გაფაჩუნდებოდა, სანამ ინფორმაცია ჩემემადე მოაღწევდა, მთელი ჟურნალისტთა კორპუსი უნივერსიტეტში მორბოდა და აშუქებდნენ. ანუ, მათ უკვე იცოდნენ. ბუნებრივია, როცა პროცესები მართულია, ვის ხელთაც იყო მართვის სადავეები, ინფორმაციასაც ის აწვდიდა.

მერე კი, 3 თვე ჰქონდა ოკუპირებული „აუდიტორია 115“-ს მეექვსე კორპუსი, იქ ვერავინ შედიოდა, სასწავლო პროცესი ჩაშლილი იყო და ამან ისე მშვიდად ჩაიარა, თითქოს ჩვეულებრივი ამბავი იყო. მე მიხარია, რომ მშვიდად და წყნარად ჩაიარა, რომ სტუდენტებს არაფერი მოუვიდათ, მაგრამ ეს კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ პროცესები მართული იყო – ჩემ დროს პატარა რაღაცაც კი ფართოდ შუქდებოდა, 3 თვით ოკუპირებული კორპუსი კი არავის აღიზიანებდა!

–ფიქრობთ, სტუდენტების დიდი ნაწილისათვის უცნობი იყო, რომ რეალურად ამინდს უშიშროება ქმნიდა?

–ლ.პ: უცნობი იყო და ასეც დარჩება.

–ანუ, სინამდვილეში სტუდენტების გავლენა პროცესებზე ძალიან მცირე იყო…

–ლ.პ: რა თქმა უნდა. ეს ყოველთვის ასეა. სტუდენტებს დამახინჯებული ფორმით აწვდიდნენ ინფორმაციას. ამას ხომ ვიღაცა განგებ აკეთებდა. ამაზე ხელი ადამიანთა შეზღუდულ ჯგუფს მიუწვდებოდა. ბევრი უსაფუძვლო სკანდალი ააგორეს, მაგრამ რას იზამ -აქლემს რომ დაგარქმევენ, მიდი და ამტკიცე რომ არ ხარ.

მაგალითად დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია უნივერსიტეტში ე.წ. ”ოდეერის” არსებობამ. არადა, ”ოდეერი” წვრილმანია, რადგან უნივერსიტეტში ბევრი ადამიანია ისეთი, რომლებიც უშიშროებასთან აშკარად შეკრული არის – სტუდენტებიც, თანამშრომლებიც, აკადემიური პერსონალიც. საუნივერსიტეტო სივრცეში არიან უშიშროების სამსახურთან არაოფიციალურად დაკავშირებული ადამიანები.

–რა კონკრეტულ გადაწყვეტილებებში ერეოდნენ? რა კონკრეტული ინტერესები აქვს უშიშროებას უნივერსიტეტში?

–ლ.პ: პირველი უკვე გითხარით – ბიზნესინტერესები. გარდა ამისა, იყო მთელი რიგი პრობლემები. მაგალითად, ხელისუფლება გარკვეული ქონების მათთვის გადაცემას გვთხოვდა, რათა პრივატიზაცია მოეხდინათ. ერთ მაგალითს დაგისახელებთ – სვანიძის ქუჩაზე, სადან წყალდიდობამ სახლები დაანგრია, უნივერსიტეტის ჰიდრო-მეტეოროლოგიური სასწავლო კვლევითი ლაბორატორია იყო. ისიც წყალდიდობამ დაანგრია, მაგრამ ამ ტრაგიკულ მოვლენებამდე წლინახევრით ადრე ეკონომიკის მინისტრის მოადგილე გვთხოვდა, რომ ლაბორატორიის ტერიტორია მთავრობისათვის გადაგვეცა, რადგან კარგი ინვესტორი ჰყავდათ და იმ ადგილას საცხოვრებელი კორპუსი უნდა აეშენებინათ. რა თქმა უნდა, მე ამაზე უარით ვუპასუხე.

ასევე სხვა ინსტიტუტების შენობის გადაცემაზეც იყო საუბარი, რაზეც ასევე არ დავთანხმდი. ასე ნელ-ნელა დაგროვდა ყველაფერი. გარდა ამისა, როცა რომელიმე ორგანიზაციას ხელმძღვანელობ, ბუნებრივია, რომ ყველა კმაყოფილი ვერ გეყოლება. უკმაყოფილო ადამიანები, რომელთა სახელებიცა და გვარებიც კარგად ვიცი, „ქართული ოცნების“ ეშელონებში დაძვრებოდნენ და ბინძურ ჭორებს ავრცელებდნენ. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, რომ ნამდვილად არ მეგონა თუ ამას ვინმე დაიჯერებდა. სამწუხაროდ, ამ მახინჯ ხმებს აყვნენ.

–ფიქრობთ, რომ ივანიშვილი ამ ყველაფრის საქმის კურსში იყო? მოგეცათ მასთან ამ თემაზე საუბრის შესაძლებლობა?

–ლ.პ: როცა კი ბ-ნ ბიძინა ივანიშვილს შევხვედრივარ, ის ჩემდამი ყოველთვის კეთილგანწყობას, თბილ და მეგობრულ დამოკიდებულებას გამოხატავდა. ვფიქრობ, რომ ზოგი რამ, რაც ხდებოდა, მისთვის იმ მომენტში ცნობილი არც იყო. მასთან ამ თემაზე საუბრის შესაძლებლობა კი არ მომცემია. ჩვენი შეხვედრები მხოლოდ ოფიციალურ ფორმატში ტარდებოდა.

–ანუ, გამოდის, რომ ვინც არ უნდა იყოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაში, მას ყოველთვის უწევს მთავრობასთან „კოჭის გორება“?

–ლ.პ: ერთ საინტერესო რამეს გეტყვით – როცა რექტორის არჩევნებში მონაწილეობის მიღება გადავწყვიტე და საბუთები შევიტანე, უშიშროების სამსახურის ერთ-ერთი ოფიცერი მოვიდა და მითხრა – უშიშროებას არანაირი მითითება არ მიუღია, არანაირი ზეწოლა არ იქნება, ამიტომ თქვენ არჩევის დიდი შანსი გაქვთ, რადგან პროცესში, ამ ეტაპზე, არ ვერევითო. როცა ასეთ ინფორმაციას მიიღებ, იმ მომენტში გიხარია, რადგან ფიქრობ, რომ ჯანსაღი პროცესი იქნება, მაგრამ იმასაც ხვდები, რომ თუკი იმ კონკრეტულ მომენტში შეეშვნენ უნივერსიტეტს, სხვა შემთხვევაში მექანიზმებს აამოქმედებდნენ.

–საუბრის დასაწყისში ახსენეთ, რომ უნივერსიტეტში გარკვეული საკითხების მიმართ კითხვები გაქვთ. რას გულისხმობდით?

–ლ.პ: მთელი რიგი საკითხები იყო, რისთვისაც უნივერსიტეტს ყოველთვის აკრიტიკებდნენ, ჩემ დროს კი გარკვეული სამუშაოები დავიწყეთ, საერთოდ შეჩერებული ან გაუქმებულია. უნივერსიტეტს აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ სამეცნიერო მუშაობა იქ ჩამკვდარია. შევეცადეთ რამდენიმე პროექტი განგვეხორციელებინა. მაგალითად, სპეციალური საუნივერსიტეტო მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების

განხორციელება. მისი ამოცანა ის იყო, რომ სტუდენტები სამეცნიერო კვლევაში ჩართულივნენ. ეს ერთობლივი პროექტი იყო. ადმინისტრაციაში გაწეული ეკონომიის ხარჯზე 600 ათასი ლარი გამოინახა და ყველა ფაკულტეტის პროფესურა და სტუდენტები ჩაერთვნენ. სამწუხაროდ, ეს პროექტი საერთოდ გაუქმნდა და კაციშვილს ხმა არ ამოუღია.

ასევე, 23 აპრილს ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღე იყო. ჩვენ სამეცნიერო კვლევის წახალისების მიზნით შევქმენით პროექტი – ჯავახიშვილის ფორუმის ჩატარება, რომელიც ყოველ აპრილს უნდა ჩატარებულიყო და თითოეული ფაკულტეტიდან პროფესორებსაც და სტუდენტებსაც ბაკალავრიატიდან, მაგისტრატურიდან და დოქტორანტურიდან კვლევები უნდა წარმოედგინათ. საუკეთესოებს ფულადი პრემია მიეცემოდათ. უნივერსიტეტისათვის ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხები იყო. წელს ეს ფორუმი არ ჩატარებულა. ამ დროს ყველა ჩუმადაა, არავინ ხმას არ იღებს…

ასევე გვქონდა ასეთი პროექტი -წლის საუკეთესო პედაგოგი, რომელსაც სტუდენტები თითოეული ფაკულტეტიდან თავად შეარჩევდნენ. მათაც პრემია ეძლეოდათ. რაც რექტორი აღარ ვარ, არც ეს აღარ ჩატარებულა, თუმცა მისი გაუქმების რაიმე დოკუმენტიც არ არსებობს. აღარც უნივერსიტეტის რექტორის სტიპენდია ეძლევა ვინმეს, რომელსაც რექტორი თავისი ხელფასიდან აძლევდა უნივერსიტეტის საუკეთესო სტუდენტს.

რაც ყველაზე ცუდია – ჩვენ პროფესორებისათვის მინიმალური სამეცნიერო სტანდარტი შემოვიღეთ, რომელიც ადგენდა თუ რა უნდა გააკეთოს პროფესორმა იმისათვის, რომ სამეცნიერო კვლევა ჩაეთვალოს. ეს სტანდარტი სენატმა 2015 წლის დეკემბერში დაამტკიცა და ძალაში 2017 წლის პირველი იანვრიდან უნდა შესულიყო. პროფესორებს ორი წელი მივეცით, რათა მათ თავიანთი საქმიანობის გარკვეული კორექცია მოეხდინათ და მომზადებლიყვნენ. ახლახან გავიგე, რომ აკადემიური საბჭოს ინიციატივით სენატმა ეს 2021 წლამდე გადაავადა. ანუ, უნივერსიტეტს სამეცნიერო სტანდარტი 2021 წლამდე არ ექნება. სამწუხაროდ, ისევ ყველა ჩუმადაა… გამოდის, რომ ის, რასაც ჩემ დროს აპროტესტებდნენ და გავაკეთეთ, დღეს ან გაუქმეს, ან გადაავადეს და არავინ იღებს ხმას!

–უშუალოდ რექტორზე რას ფიქრობთ?

–ლ.პ: რექტორის შეფასებას თავს ავარიდებ, რადგან მკითხველი ნებისმიერ შემთხვევაში იფიქრებს, რომ მე სუბიექტური ვარ. ამიტომაც, დღევანდელი თუ მომავალი რექტორის შეფასებისაგან თავს შევიკავებ. ჩემგან ეს არაეთიკური იქნება…

–ამ ყველაფრის შემდეგ, დღევანდელი გადასახედიდან, რომ გცოდნოდათ მოვლენები ასე განვითარებოდა, მოისურვებდით თუ არა უნივერსიტეტის რექტორობას?

–ლ.პ: მაინც მოვისურვებდი, რადგან არაერთი კარგი საქმე გაკეთდა. უნივერსიტეტში იგრძნეს თუ რა არის თავისუფლება, კომუნიკაცია, რექტორთან უშუალო ურთიერთობა და ა.შ. რექტორი არ უნდა იყოს ჩაკეტილი და მას უნდა ჰქოდნეს პოზიცია, რომელიც მთავრობის პოზიციასთან ყოველთვის თავსებადი არ იქნება, რადგან იგი უნივერსიტეტის ინტერესებს უნდა გამოხატავდეს, მის ავტონომიურაობას იცავდეს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ეს 2 წელი და 8 თვე ჩემ ცხოვრებაში ერთ-ერითი ყველაზე მძიმე პერიოდი იყო, ეს ყელაფერი რომც მცოდნოდა, რექტორობაზე უარს მაინც არ ვიტყოდი. უბრალოდ, ნამდვილად არ მეგონა, რომ „ქართული ოცნებისათვის“ და პირადად გიორგი კვირიკაშვილისათვის ლადო პაპავა მიუღებელი რექტორი იქნებოდა.

მიხედავად ყველაფრის, მე ვამაყობ, რომ ჩემი რექტორობის შედეგად თსუ უნივერსიტეტების საერთაშორისო რეიტინგებში საგრძნობლად დაწინაურდა და მისი ცნობადობა ამაღლდა.

ლადო პაპავა: „თსუ-ში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს ანგრევენ“

მოამზადა თაკო მათეშვილმა